გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

„საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 103-ე მუხლისა და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილებათა შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის 32-ე მუხლის მოთხოვნების შესრულება;

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობებისა და გადასახდელების დაზუსტება;

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის გათვალისწინებული ასიგნებების ცვლილება, საერთო-რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელების ცვლილება, რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების ცვლილება.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი გადასახდელების დაფინანსების წყარო:

წარმოდგენილი კანონპროექტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების წყაროს წარმოადგენს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობები;

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის შემოსულობების ნაწილზე:

რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი (ნაშთის გამოყენების გარეშე) განისაზღვრა 560 189,4 ათასი ლარით. რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებელი სულ იზრდება 47 640,0 ათასი ლარით.

საპროგნოზოდ იზრდება შემოსულობები 47 722,7 ათასი ლარით, კერძოდ:

რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები 2023 წლის დამტკიცებულ საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით იზრდება 47 722,7 ათასი ლარით:

საშემოსავლო გადასახადი ფაქტიური და მოსალოდნელი შესრულების გათვალისწინებით 2023 წლის დამტკიცებულ საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით იზრდება 40 000,0 ათასი ლარით და წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 460 000,0 ათას ლარს.

ასევე იზრდება სხვა შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი 7 722,7 ათასი ლარით და წლიური საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 19 485,0 ათასი ლარის ოდენობით. კერძოდ, დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტებიდან მისაღები

შემოსავლები იზრდება 6 292,7 ათასი ლარით, სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოების მოგებიდან მიღებული დივიდენდები - 1 000,0 ათასი ლარით და სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საფასურით მიღებული შემოსავლები - 430,0 ათასი ლარით.

მცირდება შემოსულობები 82,7 ათასი ლარით, კერძოდ:

რესპუბლიკური ბიუჯეტის შემოსავლები 2023 წლის დამტკიცებულ საპროგნოზო მაჩვენებელთან შედარებით მცირდება 82,7 ათასი ლარით: საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მისაღები გრანტის მოცულობა (საერთაშორისო ორგანიზაცია „გაეროს ბავშვთა ფონდი UNICEF“) მცირდება 82,7 ათასი ლარით, რომელიც გამოეყოფა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს აჭარის საჯარო სკოლებში ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობისათვის და გრანტის წლიური საპროგნოზო მოცულობა შეადგენს 288,7 ათას ლარს.

მცირდება ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოყენება) **17 400,0 ათასი ლარით და წლიური მოცულობა განისაზღვრა 40 400,0 ათასი ლარით.**

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

წარმოდგენილი პროექტის მიხედვით რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების საპროგნოზო მაჩვენებელი იზრდება ჯამში 65 040,0 ათასი ლარით და 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებები განისაზღვრა 600 589,4 ათასი ლარის ოდენობით.

რესპუბლიკური ბიუჯეტის ასიგნებების ცვლილება გამოწვეულია ძირითადად საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ მიმდინარე წელს განსახორციელებელი ახალი და მოქმედი პროექტების მოცულობის ცვლილებით, ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე დამატებით სხვადასხვა პროექტებზე ფინანსური დახმარების მოცულობის ცვლილების, სახელმწიფო შესყიდვების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიებისა და სხვადასხვა გარემოებებით.

კერძოდ, 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ცალკეული გადასახდელების მოცულობა მცირდება 8 687,2 ათასი ლარით (მათ შორის გრანტი - 82,7 ათასი ლარი):. კერძოდ:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო - 2 284,5 ათასი ლარით (მათ შორის: ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა - 1 029,7 ათასი ლარი, ბათუმის ბულვარის ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და განვითარების ხელშეწყობა - 1 048,9 ათასი ლარი);

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - 3 746,2 ათასი ლარით (მათ შორის სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 1 500,0 ათასი ლარი, ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობა აჭარის საჯარო სკოლებში - 263,9 ათასი ლარი (მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მისაღები გრანტის მოცულობა -საერთაშორისო ორგანიზაცია „გაეროს ბავშვთა ფონდი UNICEF“ მცირდება 82,7 ათასი ლარით), უმაღლესი განათლების ხელშეწყობა - 586,0 ათასი ლარით, ა(ა)იპ ძალოსნობის კომპლექსი - 495,4 ათასი ლარით, პროექტების მხარდაჭერა, ფესტივალების და ღონისძიებების ორგანიზება - 284,3 ათასი ლარით);

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო - 1 850,5 ათასი ლარით (მათ შორის ა(ა)იპ აგროსერვის ცენტრის სანერგე და საჩითილე მეურნეობებში ნერგისა და ჩითილის წარმოება - 103,9 ათასი ლარით, სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა - 1 508,5 ათასი ლარით, პლაჟის ხელოვნური კვების სამუშაოები - 156,0 ათასი ლ;არით);

საერთო რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელები - 806,0 ათასი ლარი (მათ შორის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი - 806,0 ათასი ლარი).

რესპუბლიკური ბიუჯეტის გადასახდელების საპროგნოზო მოცულობა იზრდება 73 727,2 ათასი ლარით:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო - 5 249,2 ათასი ლარით (მათ შორის:

- 100,0 ათასი ლარით - ემატება ახალი „მცირე და საშუალო ტურისტული ბიზნესის მხარდაჭერის პროგრამა“, რომლის ფარგლებში განხორციელდება აჭარის რეგიონში მცირე და საშუალო ტურისტული ობიექტების ინფრასტრუქტურის მოწესრიგებისა და ტურისტული მომსახურების გაუმჯობესების მიზნით ბანკების მიერ სესხების გაცემა. სესხის ხელშეკრულების შესაბამისად სესხის საპროცენტო განაკვეთის არაუმეტეს 12%-ი სამი წლის განმავლობაში ანაზღაურდება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ.
- 296,6 ათასი ლარით - ბათუმის ბულვარის ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვისა და განვითარების ხელშეწყობა;
- 231,4 ათასი ლარით - ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის მართვა;
- 550,0 ათასი ლარით - რეგიონის, როგორც ტურისტული დანიშნულების ადგილის მარკეტინგი საერთაშორისო ბაზრებზე;
- 250,0 ათასი ლარით - რეგიონის ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციისათვის საჭირო მასალების დამზადება;
- 450,0 ათასი ლარით - ტურისტული პროდუქტების განვითარება და დივერსიფიკაცია;
- 170,0 ათასი ლარით -ტურიზმის დარგში სერვისის განვითარების ხელშეწყობა;
- 2 140,3 ათასი ლარით - გზების რეაბილიტაცია;
- 330,8 ათასი ლარით - ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა-რეაბილიტაცია;
- 482,9 ათასი ლარით - საგზაო ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო - 15 429,5 ათასი ლარით (მათ შორის:

- 7 652,5 ათასი ლარით - ქვეპროგრამა „საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება“;
- 1 500,0 ათასი ლარით - საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფა;
- 121,2 ათასი ლარით - ქვეპროგრამა „ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობა აჭარის საჯარო სკოლებში“;

- 224,9 ათასი ლარით - სწავლა საზღვარგარეთ;
- 1 013,5 ათასი ლარით - ა(ა)იპ მუხრან ვახტანგაძის სახელობის ბათუმის სპორტის სასახლე;
- 115,6 ათასი ლარით - ა(ა)იპ ძალოსნობის კომპლექსი;
- 559,8 ათასი ლარით - პროექტების მხარდაჭერა, ფესტივალების და ღონისძიებების ორგანიზება;
- 101,0 ათასი ლარით - ფოლკლორის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა;
- 499,0 ათასი ლარით - სსიპ აჭარის მუზეუმი;
- 146,5 ათასი ლარით - სსიპ „ბათუმის თოჯინებისა და მოზარდ მაყურებელთა პროფესიული სახელმწიფო თეატრი";
- 235,1 ათასი ლარით - სსიპ „აჭარის მელიტონ კუხიანიძის სახელობის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „არსიანი";
- 170,0 ათასი ლარით - სსიპ „ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური ცენტრი";
- 1 000,0 ათასი ლარით - კულტურის დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება;
- 215,0 ათასი ლარით - პროფესიული და მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების ხელშეწყობა;
- 600,0 ათასი ლარით - აჭარის ნაკრები გუნდების წევრთა, მთავარ და პირად მწვრთნელთა მიერ მიღწეული განსაკუთრებული წარმატებების წასახალისებლად ერთჯერადი ფულადი ჯილდოები;
- 140,0 ათასი ლარით - მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო - 7 300,0 ათასი ლარით (მათ შორის:

- 1 500,0 ათასი ლარით - მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარება;
- 1 600,0 ათასი ლარით - ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებულ პაციენტთა დამატებითი სამედიცინო მომსახურება;
- 1 250,0 ათასი ლარით - ზოგიერთი სოციალური კატეგორიის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება;
- 900,0 ათასი ლარით - გულის ქირურგიის დამატებითი სამედიცინო მომსახურება;
- 700,0 ათასი ლარით - ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევა;
- 756,3 ათასი ლარით - სოციალური პროგრამები;
- 223,4 ათასი ლარით - იზრდება მოსახლეობის გარკვეული კატეგორიების თავშესაფრით უზრუნველყოფა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის აჭარის არ სოფლის მეურნეობის სამინისტრო - 1 850,5 ათასი ლარით (მათ შორის:

- 162,0 ათასი ლარით - სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრი";
- 1 617,5 ათასი ლარით - სსიპ - აჭარის სატყეო სააგენტოს „ორგანიზაციული მართვა";

საერთო რესპუბლიკური მნიშვნელობის გადასახდელები - 43 898,0 ათასი ლარით (მათ შორის:

- 32 656,0 ათასი ლარით - ადგილობრივ თვითმმართველ ერთეულებზე გადასაცემი კაპიტალური და სპეციალური ფინანსური დახმარება;
- 4 000,0 ათასი ლარით - სს „აჭარის წყლის ალიანსი";
- 1 342,0 ათასი ლარით - შპს „აჭარის ნარჩენების მართვის კომპანია";
- 5 700,0 ათასი ლარით - სარეზერვო ფონდი;
- 200,0 ათასი ლარით - გერმანიის რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკიდან (KFW) მიღებული სესხის მომსახურების ხარჯები).

ბ.დ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონის პროექტი განსაზღვრავს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს მნიშვნელოვანი რესურსების გამოყოფას სხვადასხვა სფეროებზე, რაც საბოლოო ჯამში გააუმჯობესებს რეგიონის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

ბიუჯეტის კანონპროექტი არ ზღუდავს ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობას და ასახავს არსებული პოლიტიკის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს პასუხისმგებელი მხარჯავი დაწესებულებების შესაბამის პროგრამულ კოდებში.

ბ[2]) გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება:

ბიუჯეტის კანონპროექტი ასახავს გენდერული თანასწორობის პრინციპებს.

გ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

გ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

გ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის ავტორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო.

ე) კანონპროექტის ინიციატორი:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე.